

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2019 წლის 27 დეკემბერი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №31 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

მარტვილის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსი გაბისონია

დანართი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

თავი I

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10,389.8	14,764.4	6,408.4	8,356.0	11,919.1	2,644.7	9,274.4
გადასახადები	933.1	7,726.0	0.0	7,726.0	8,611.7	0.0	8,611.7
გრანტები	8,913.1	6,563.4	6,408.4	155.0	2,799.7	2,644.7	155.0
სხვა შემოსავლები	543.6	475.0	0.0	475.0	507.7	0.0	507.7
ხარჯები	6,223.2	7,546.3	662.5	6,883.8	7,522.7	0.0	7,522.7
შრომის ანაზღაურება	1,967.7	2,173.2	0.0	2,173.2	2,280.4	0.0	2,280.4
საქონელი და მომსახურება	658.0	1,428.3	662.5	765.8	825.3	0.0	825.3



პროცენტი	139.6	106.4	0.0	106.4	100.5	0.0	100.5
სუბსიდიები	2,556.5	2,927.6	0.0	2,927.6	3,235.0	0.0	3,235.0
გრანტები	0.0	30.0	0.0	30.0	34.2	0.0	34.2
სოციალური უზრუნველყოფა	716.5	722.3	0.0	722.3	757.7	0.0	757.7
სხვა ხარჯები	184.9	158.6	0.0	158.6	289.6	0.0	289.6
საოპერაციო საღდო	4,166.6	7,218.1	5,745.9	1,472.2	4,396.4	2,644.7	1,751.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,897.1	8,278.5	6,381.2	1,897.3	4,501.1	2,644.7	1,856.4
ზრდა	3,936.2	8,358.5	6,381.2	1,977.3	4,621.1	2,644.7	1,976.4
კლება	39.2	80.0	0.0	80.0	120.0	0.0	120.0
ზრდა	300.520	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	300.520	0.0			0.0	0.0	
კლება	108.3	1,175.2	635.3	539.9	258.0	0.0	258.0
ვალუტა და დეპოზიტები	108.3	1,175.2	635.3	539.9	258.0	0.0	258.0
კლება	77.3	114.8	0.0	114.8	153.3	0.0	153.3
საშინაო	77.3	114.8	0.0	114.8	153.3	0.0	153.3
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის მარტვილის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10429.0	14844.4	6408.4	8436.0	12039.1	2644.7	9394.4
შემოსავლები	10389.8	14764.4	6408.4	8356.0	11919.1	2644.7	9274.4
არაფინანსური აქტივების კლება	39.2	80.0	0.0	80.0	120.0	0.0	120.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



გადასახდელები	10236.7	16019.6	7043.7	8975.9	12297.1	2644.7	9652.4
ხარჯები	6223.2	7546.3	662.5	6883.8	7522.7	0.0	7522.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	3936.2	8358.5	6381.2	1977.3	4621.1	2644.7	1976.4
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	77.3	114.8	0.0	114.8	153.3	0.0	153.3
ნაშთის ცვლილება	192.3	-1175.2	-635.3	-539.9	-258.0	0.0	-258.0

თავი II

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11919.1 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10,389.8	14,764.4	6,408.4	8,356.0	11,919.1	2,644.7	9,274.4
გადასახადები	933.1	7,726.0	0.0	7,726.0	8,611.7	0.0	8,611.7
გრანტები	8,913.1	6,563.4	6,408.4	155.0	2,799.7	2,644.7	155.0
სხვა შემოსავლები	543.6	475.0	0.0	475.0	507.7	0.0	507.7

მუხლი 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 9394.4 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10,429.0	14,844.4	6,408.4	8,436.0	9,394.4	0.0	9,394.4
შემოსავლები	10,389.8	14,764.4	6,408.4	8,356.0	9,274.4	0.0	9,274.4
არაფინანსური აქტივების	39.2	80.0	0.0	80.0	120.0	0.0	120.0



კლება							
შემოსავლები	10,389.8	14,764.4	6,408.4	8,356.0	9,274.4	0.0	9,274.4
გადასახადები	933.1	7,726.0	0.0	7,726.0	8,611.7	0.0	8,611.7
საშემოსავლო გადასახადი	679.6	0.0		0.0	0.0		0.0
ქონების გადასახადი	253.5	200.0	0.0	200.0	300.0	0.0	300.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	119.5	100.0	0.0	100.0	170.0	0.0	170.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.2	1.0	0.0	1.0	1.0	0.0	1.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	2.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	0.0	1.0	0.0	1.0	1.0	0.0	1.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	67.8	74.0	0.0	74.0	70.0	0.0	70.0
ფიზიკური პირებიდან	46.8	15.0	0.0	15.0	40.0	0.0	40.0
იურიდიული პირებიდან	21.0	59.0	0.0	59.0	30.0	0.0	30.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	64.0	25.0	0.0	25.0	59.0	0.0	59.0
ფიზიკური პირებიდან	39.4	15.0	0.0	15.0	24.0	0.0	24.0
იურიდიული პირებიდან	24.5	10.0	0.0	10.0	35.0	0.0	35.0
სხვა გადასახადები	0.0	7,526.0	0.0	7,526.0	8,311.7	0.0	8,311.7
დამატებული ღირებულების გადასახადი		7,526.0	0.0	7,526.0	8,311.7	0.0	8,311.7

მუხლი 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2799.7 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8,913.1	6,563.4	6,408.4	155.0	2,799.7	2,644.7	155.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან	8,913.1	6,563.4	6,408.4	155.0	2,799.7	2,644.7	155.0



გამოყოფილი ტრანსფერი							
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5,655.8	1,434.1	1,279.1	155.0	155.0	0.0	155.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,500.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	155.0	814.1	659.1	155.0	155.0	0.0	155.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	620.0	620.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3,257.3	5,129.2	5,129.2	0.0	2,644.7	2,644.7	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3,257.3	3,954.7	3,954.7	0.0	2,644.7	2,644.7	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	990.0	990.0	0.0	0.0	0.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	0.0	184.6	184.6	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 507.7 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	543.6	475.0	0.0	475.0	507.7	0.0	507.7
შემოსავლები საკუთრებიდან	330.5	350.0	0.0	350.0	300.0	0.0	300.0
პროცენტები	68.7	50.0	0.0	50.0	70.0	0.0	70.0
რენტა	261.8	300.0	0.0	300.0	230.0	0.0	230.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	252.3	290.0	0.0	290.0	220.0	0.0	220.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან	9.5	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	63.0	35.0	0.0	35.0	67.7	0.0	67.7



ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	53.2	30.0	0.0	30.0	57.7	0.0	57.7
სანებართვო მოსაკრებელი	38.5	20.0	0.0	20.0	40.0	0.0	40.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	14.7	10.0	0.0	10.0	17.7	0.0	17.7
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	9.9	5.0	0.0	5.0	10.0	0.0	10.0
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	9.9	5.0	0.0	5.0	10.0	0.0	10.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	114.5	80.0	0.0	80.0	130.0	0.0	130.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	35.6	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0

თავი III

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7522.7 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6,223.2	7,546.3	662.5	6,883.8	7,522.7	0.0	7,522.7
შრომის ანაზღაურება	1,967.7	2,173.2	0.0	2,173.2	2,280.4	0.0	2,280.4
საქონელი და მომსახურება	658.0	1,428.3	662.5	765.8	825.3	0.0	825.3
პროცენტი	139.6	106.4	0.0	106.4	100.5	0.0	100.5
სუბსიდიები	2,556.5	2,927.6	0.0	2,927.6	3,235.0	0.0	3,235.0
გრანტები	0.0	30.0	0.0	30.0	34.2	0.0	34.2
სოციალური უზრუნველყოფა	716.5	722.3	0.0	722.3	757.7	0.0	757.7
სხვა ხარჯები	184.9	158.6	0.0	158.6	289.6	0.0	289.6



მუხლი 8. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4501.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4621.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	20.9	79.4	0.0	79.4	80.0	0.0	80.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3899.5	7607.0	5761.2	1845.8	3974.9	2644.7	1330.2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	266.2	0.0	266.2
04 00	განათლება	8.7	634.3	620.0	14.3	300.0	0.0	300.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	7.1	37.8	0.0	37.8	0.0	0.0	0.0
06 00	მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სულ	3936.2	8358.5	6381.2	1977.3	4621.1	2644.7	1976.4

ბ) განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 80.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	31	39.2	80.0	0.0	80.0	120.0	0.0	120.0
ძირითადი აქტივები	311	20.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



არაწარმოებული აქტივები	314	18.9	80.0	0.0	80.0	120.0	0.0	120.0
მიწა	3141	18.9	80.0	0.0	80.0	120.0	0.0	120.0

მუხლი 9. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,436.1	2,929.5	0.0	2,929.5	3,246.5	0.0	3,246.5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,436.1	2,810.3	0.0	2,810.3	3,086.0	0.0	3,086.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,436.1	2,808.7	0.0	2,808.7	3,046.0	0.0	3,046.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	1.6	0.0	1.6	40.0	0.0	40.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	119.2	0.0	119.2	160.5	0.0	160.5
702	თავდაცვა	73.8	85.9	0.0	85.9	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3,723.2	5,670.9	4,561.2	1,109.8	3,868.7	2,644.7	1,224.0
7045	ტრანსპორტი	3,096.5	4,460.0	4,122.6	337.4	2,937.6	2,644.7	292.9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,096.5	4,460.0	4,122.6	337.4	2,937.6	2,644.7	292.9
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	626.7	1,210.9	438.5	772.4	931.1	0.0	931.1
705	გარემოს დაცვა	530.2	797.0	0.0	797.0	810.2	0.0	810.2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	499.9	579.0	0.0	579.0	544.0	0.0	544.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	30.3	218.0	0.0	218.0	266.2	0.0	266.2



706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	457.0	1,880.3	1,203.4	676.8	400.2	0.0	400.2
7061	ბინათმშენებლობა	242.6	516.6	213.4	303.1	106.2	0.0	106.2
7063	წყალმომარაგება	4.4	155.0	0.0	155.0	12.0	0.0	12.0
7064	გარე განათება	210.0	202.0	0.0	202.0	280.0	0.0	280.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	1,006.7	990.0	16.7	2.0	0.0	2.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	524.6	496.3	0.0	496.3	477.4	0.0	477.4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	109.2	105.0	0.0	105.0	110.0	0.0	110.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	415.4	391.3	0.0	391.3	367.4	0.0	367.4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,061.7	1,140.3	0.0	1,140.3	1,190.0	0.0	1,190.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	462.4	497.9	0.0	497.9	490.0	0.0	490.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	503.0	603.0	0.0	603.0	610.0	0.0	610.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	23.8	25.0	0.0	25.0	25.0	0.0	25.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	51.9	5.6	0.0	5.6	50.0	0.0	50.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	20.6	8.8	0.0	8.8	15.0	0.0	15.0
709	განათლება	1,005.2	2,508.1	1,279.1	1,229.0	1,688.0	0.0	1,688.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	972.1	1,190.0	0.0	1,190.0	1,370.0	0.0	1,370.0
7092	ზოგადი განათლება	13.6	1,300.1	1,279.1	21.0	0.0	0.0	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	13.6	1,300.1	1,279.1	21.0	0.0	0.0	0.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	19.5	18.0	0.0	18.0	318.0	0.0	318.0
710	სოციალური დაცვა	347.7	396.5	0.0	396.5	462.6	0.0	462.6
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	163.5	192.5	0.0	192.5	214.0	0.0	214.0



7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	184.2	204.0	0.0	204.0	248.6	0.0	248.6
	სულ	10,159.4	15,904.8	7,043.7	8,861.1	12,143.6	2,644.7	9,498.9

თავი IV

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო
ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -104.7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 1398.1 ათასი ლარით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	4166.6	7218.1	4396.4
მთლიანი სალდო	269.6	-1060.4	-104.7

მუხლი 11. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -258.0 ათასი ლარით.

2. განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.0 ათასი ლარით.

3. განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 258.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -153.3 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016-2018 წლებში მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ვალდებულებების ცვლილება	-77,3	-114,8	0,0	-114,8	-153,3	0,0	-153,3
კლება	77,3	114,8	0,0	114,8	153,3	0,0	153,3
საშინაო	77,3	114,8	0,0	114,8	153,3	0,0	153,3

თავი V



მუხლი 13. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

მომდევნო 2020-2023 წლებშიც მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას.

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის მიზანია მმართველობითი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს და მუნიციპალური განვითარების პროგრამის თანა დაფინანსების ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ ერთი მთავარი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები, რომელიც განხორციელდება რამოდენიმე მიმართულებით: 1. ახალი სტრუქტურის, დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნა; 2. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა; 3. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; 4. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; 5. ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება;

1.1 პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება

სასესხო ვალდებულებების დაფარვის პროგრამა

მიზანი

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.

აღწერა



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესიო ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული სესხების მომსახურება.

1.2 პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება

საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების პროგრამა

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა.

პროგრამის აღწერა:

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმატი და ფინანსური ანგარიშები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გამოწვეულია თანამშრომლების კვალიფიკაციის არასაკმარისი დონით, აქტივებზე სრულყოფილი ინფორმაციის არ არსებობით. მუნიციპალიტეტში არ არის აქტივების აღრიცხვის ერთიანი სისტემა. საბიუჯეტო პროცესში დაბალია მოსახლეობის ჩართულობის და პროცესების გამჭვირვალობის დონე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის განხორციელდება თანამშრომლების გადამზადება, მოსახლეობაში გამოკითხვების ჩატარება და აქტივების შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის შეფასება, მოსახლეობის ჩართულობისა და გამჭვირვალე პროცესების წარმართვისათვის შეიქმნება და დაინერგება მდგრადი სისტემა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და გამართული ფუნქციონირება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია.

პროგრამის აღწერა: პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გაზმომარაგებისა და წყალმომარაგების სამუშაოები, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხოდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

2.1.1 გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. მარტვილის მუნიციპალიტეტის შიდა გზები დაახლოებით 1000-კმ. აჭარბებს აქედნ გამომდინარე შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციასა მოწყობის საკითხი მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

2.1.2 ხიდ-ბოგირები მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება და მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით და სტიქიის კუთხით გამოყოფილი თანხებით უამრავი ხიდისა და ბოგირების რეაბილიტაცია მოხდა, მაინც არის ობიექტები რომელთა რეაბილიტაციაც აუცილებელია.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, წყალსადენის ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.2.1 შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლების რეაბილიტაცია და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

2.2.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. მარტვილის და 21 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 170.0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიისანაზღაურებას. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის

სრულად მოცვა გარე განათებით.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია.

2.2.4 პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ფეხით მოსიარულებთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.2.5 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის



(საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება; საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები. რაც განაპირობებს ხარისხიან ხარისხიანად კარგად შესრულებულ სამუშაოებს.

2.3. საკადასტრო რუკების მომზადება (პროგრამული კოდი 03 03)

საკადასტრო ნახაზების ელექტრონული ვერსიების მომზადება.

2.4 კეთილმოწყობის ცენტრი. (პროგრამული კოდი 03 06) აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია კეთილმოწყობის ცენტრი რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის დაგვა-დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა, მწვანე საფარის მოვლა პატრონობა, გარე განათების სერვისის მოვლა, შადრევნებისა და აუზების, წყლის სისტემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიის მოხეტიალე პირთუცვისაგან დაცვა. ქ. მარტვილის საზაგრო გზის მომსახურება. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სპეც. ტექნიკის გრეიდერის მოვლა-შენახვა და მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულება. აგრეთვე გათვალისწინებულია ტექნიკური წყალმომარაგების სისტემების მოვლა პატრონობა სოფლებში ბალდა-გაჭედელი, წაჩხურუ-მეურნეობა-ტალერი, სანიაღვრე არხების, საკანალიზაციო სისტემების, შიდა გზებისა და ხიდ ბოგირების მოვლა პატრონობას).

2.5 რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 09)

პროგრამის ფარგლებში მოხდება რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

მარტვილის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 2 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე წყალსაწრეტი არხები და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს დედაქალაქის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. მარტვილის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას,



რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და სხვა.

4.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა

პროგრამის აღწერა: პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელო უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 850 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯების, მასწავლებელთა და აღმზრდელო ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

4.2 საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა (რეაბილიტაციის მიზნით).

4.3 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამა ითვალისწინებს ახალი საბავშვო ბაღების აშენებას და არსებული ბაღების რეაბილიტაციას.

4.3 შშმ ბავშვთა და მოზარდთა განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია (შშმ ბავშვთა საკვირაო სკოლის თანადაფინანსება).

5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

5.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

5.1.1 სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)



